

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

მისია და სტრატეგიული გეგმა

2026-2032

სარჩევი

1. პრეამბულა 4
2. სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკლე ისტორია 5
2.1. უნივერსიტეტის დაარსება 5
2.2. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის III კორპუსი (ახალქალაქი) 5
2.3. უმაღლესი სასწავლებლის ახალი სტატუსი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი 6
3. სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვა, მისია, ღირებულებები 7
3.1. ხედვა: 7
3.2. მისია: 7
3.3. ღირებულებები: 7
4. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგია და პრიორიტეტები 8
4.1. უნივერსიტეტის მიზანი, ამოცანები 8
5. სტრატეგიული ანალიზი 9
5.1. არსებული სიტუაციის ანალიზი და გამოწვევები ..... Error! Bookmark not defined.
6. პრიორიტეტები 11
7. სტრატეგიული მიმართულებები 11
7.1. სტრატეგიული მიმართულებება - კვლევა 12
7.2. სტრატეგიული მიმართულებება - სწავლა-სწავლება 12
7.3. სტრატეგიული მიმართულება - რესურსები 13
7.4. სტრატეგიული მიმართულება - მართვის სისტემა 14
7.5. სტრატეგიული მიმართულება - ინტერნაციონალიზაცია 14
7.6 წვლილი საზოგადოებაში (მესამე მისია) .....
8. სტარტეგიული მიზნები, დასახული ამოცანები და მათი მიღწევის გზები 15
1.სტრატეგიული მიმართულება - კვლევა 15
სტრატეგიული მიზანი 1.1: 15
სტრატეგიული მიზანი 1.2 16
2. სტრატეგიული მიმართულება - სწავლა /სწავლება 16
სტრატეგიული მიზანი 2. 1 16
სტრატეგიული მიზანი 2.2: 17
სტრატეგიული მიზანი 2.3. 17
3.სტრატეგიული მიმართულება - რესურსები 18

სტრატეგიული მიზანი 3. 1 18
სტრატეგიული მიზანი 3.2 18
სტრატეგიული მიზანი 3.3 19
4. სტრატეგიული მიმართულება - მართვის სისტემა 19
სტრატეგიული მიზანი 4.1 19
სტრატეგიული მიზანი 4. 2 19
სტრატეგიული მიზანი 4.3 20
5. სტრატეგიული მიმართულება - ინტერნაციონალიზაცია 21
სტრატეგიული მიზანი 5.1 21
სტრატეგიული მიზანი 5.2 23
სტრატეგიული მიზანი 5. 3. ..... **Error! Bookmark not defined.**

6. სტრატეგიული მიმართულება - წვლილი საზოგადოებაში (მესამე მისია)

სტრატეგიული მიზანი 6.1 21
სტრატეგიული მიზანი 6.2 23
სტრატეგიული მიზანი 6. 3 22
სტრატეგიული მიზანი 6.4. 213

1. პრეამბულა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში უნივერსიტეტი) განვითარების გზა და მიღწევები იქმნებოდა მისი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, ჩამოყალიბებიდან 35 წლის განმავლობაში. სტუდენტები, კურსდამთავრებულები, თანამშრომლები და საუნივერსიტეტო საზოგადოება ამაყობს იმ მიღწევებითა და შედეგებით, რომელიც სამცხე-ჯავახეთში უმაღლესი საგანმანათლებლო კერის ჩამოყალიბებამ განაპირობა. დღეს სამხრეთ საქართველოში საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული მხარეების თანამშრომლობით შექმნილია სამეცნიერო კვლევის, უმაღლესი, პროფესიული განათლებისა და უწყვეტი განათლების ერთიანი სივრცე.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში ერთ-ერთი მზარდი და პროგრესზე ორიენტირებული რეგიონული უნივერსიტეტია. მაღალია საზოგადოების მოლოდინი უნივერსიტეტის მიმართ. მას ენდობა მხარის მულტიეთნიკური მოსახლეობა. მისი დანიშნულებაა საზოგადოების სოციალური, კულტურული და ეკონომიკური კეთილდღეობისათვის ხელის შეწყობა.

2026-32 წლების სტატეგიული განვითარების გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც შემუშავებულია -საზოგადოების მოლოდინის და უნივერსიტეტის ფუნქციონირებაში ჩართული მხარეების ძალისხმევის საფუძველზე. სტარტეგიული გეგმის შინაარსში ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების პერსპექტივები საგანმანათლებლო კუთხით, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს განვითარების სტრატეგია, სამცხე-ჯავახეთის განვითარების სტრატეგიული პრიორიტეტები.

დოკუმენტი ეფუძნება უნივერსიტეტის SWOT და , ასევე 2019-25 წლების გეგმის კრიტიკული ანალიზს კრიტიკულ ანალიზს. განსაზღვრულია უნივერსიტეტის პრიორიტეტები და სტრატეგიული მიმართულებები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები და ამოცანები, მიზნების მიღწევის გზები, პასუხისმგებელი პირები, გასატარებელი ღონისძიებები და მათი შესრულების მონიტორინგის პროცესი შეფასების ინდიკატორებით.

2026-2032 წლების სტატეგიული განვითარების გეგმამ უნდა უზრუნველყოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმიანობის გაფართოება, სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტი, კვლევისა და სწავლების ინტერნაციონალიზაცია და ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის გაძლიერება საკუთარი ადგილის დამკვიდრების გზით. გეგმაში ასახულია უნივერსიტეტის მისიაში შესული ცვლილებების შესაბამისი მიზნები, ამოცანები, აქტივობები.

უნივერსიტეტი მხარს უჭერს ევროპული განათლებისა და კვალიფიკაციის დანერგვის ინიციატივებსა და ღონისძიებებს, მონაწილეობს ბოლონიის პროცესში და ხელმძღვანელობს ევროპული უნივერსიტეტების შესახებ დიდი ქარტიის პრინციპით.

სრტატეგია ეფუძნება წარსულსა და დღევანდელობას და უზრუნველყოფს საკუთარი ძალისხმევისა და რესურსების კონცენტრირება უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარებისათვის მომავალში.

2. სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოკლე ისტორია

2.1. უნივერსიტეტის დაარსება

სსიპ- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რომელიც 1990 წელს დაარსდა, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი, თავიდანვე ფართო გეგმებს ისახავდა მიზნად. მისი შექმნა განაპირობა აღმავალი ეროვნული მოძრაობის საფუძველზე ჩამოყალიბებულმა საერთო საზოგადოებრივმა აზრმა.

სხვადასხვა დროს თსუ ახლციხის ფილიალს ერქვა მესხეთის ფილიალი, ახალციხის ინსტიტუტი, სამცხე-ჯავახეთის სასწავლო უნივერსიტეტი და 2014 წლიდან გახდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. განვლილი პერიოდის განმავლობაში ახალციხეში საუნივერსიტეტო ცხოვრება სამხრეთ საქართველოს განუყოფელ ნაწილად იქცა, ამიტომ უდავოა, რომ უნივერსიტეტის განვითარება პრინციპულია რეგიონისათვის და საერთოდ, ჩვენი ქვეყნისათვის.

თსუ ახალციხის ფილილის შექმნა განპირობებული იყო რეგიონის განვითარების, ახალგაზრდობის ადგილზე დაკავებისა და იმ დემოგრაფიული დისბალანსის აღმოსაფხვრელად, რომელიც წარმოიქმნა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ამ კუთხეში. ახალციხის ფილიალმა გაუძლო დროის გამოცდას მაშინ, როდესაც მასთან ერთად სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულმა კიდევ შვიდმა საგანმანათლებლო ერთეულმა შეწყვიტა არსებობა. 2002 წელს ახალციხის ფილიალის წარმატებულმა საქმიანობამ განაპირობა ახალქალაქში უმაღლესი დაწესებულების ჩამოყალიბება.

2.2. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის III და IV კორპუსები (ახალქალაქი)

მეოცე საუკუნის ბოლოს თსუ ახალციხის ფილიალში 3 000-მდე სტუდენტი სწავლობდა, მათ შორის იყვნენ სტუდენტები ჯავახეთიდან. ფილიალი თავიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა სომხურ მოსახლეობასთან ურთიერთობას. 1995 წლიდან დაიწყო ინტენსიური მუშაობა, რომ გახსნილიყო ქართული უმაღლესი სასწავლებელი ჯავახეთში. დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ახალქალაქისა და ნინოწმინდის ხელმძღვანელობასთან, საზოგადოებასთან, რომლის საფუძველზე **2002 წელს თსუ-ს დიდი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა თსუ ჯავახეთის ფილიალი.** ახალქალაქში უმაღლესი სასწავლებლის გახსნა განსაზღვრა მესხეთის ფილიალმა, როგორც კადრების თვალსაზრისით, ისე ფსიქოლოგიურ-მორალურად. ჯავახეთის ფილიალის უმთავრესი დანიშნულება იყო ქართულ-სომხური პედაგოგიური კადრების მომზადება და ეკონომიკური განათლება. იყო პერსპექტივა სოფლის მეურნეობის მიმართულებით, ამასთანავე იგი უნდა ქცეულიყო ბილინგვური სწავლების მომზადებისა და განვითარების ცენტრად. ორი საგანმანათლებლო, საუნივერსიტეტო

დაწესებულების შექმნა იყო დიდი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველოს ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 3 ოქტომბრის №416 დადგენილენით ჩატარდა რეორგანიზაცია და ამ ორი დაწესებულების ადგილზე შეიქმნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. უნივერსიტეტი განთავსდა 70 კმ-ით დაშორებულ ორ ქალაქში, რაც მისი ცხოვრების და არსებობის სპეციფიკას განსაზღვრავს. **2024 წელს დასრულდა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის ფინანსური მხარდაჭერით IV კორპუსის რეაბილიტაცია, კეთილმოეწყო საერთო საცხოვრებელში პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სივრცე. IV კორპუსი სრულად მოემსახურება პროფესიულ განათლებას, რაც ჯავახეთში მას პროფესიული განათლების მიღების უალტერნატივო სივრცედ აქცევს.**

2.3. უმაღლესი სასწავლებლის ახალი სტატუსი - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2013 წელს დღის წესრიგში დადგა საკითხი სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით.

2014 წელს ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოხდა უპრეცენდენტო შემთხვევა, როდესაც სასწავლო უნივერსიტეტმა შეიცვალა სტატუსი, გახდა სამსაფეხურიანი უმაღლესი დაწესებულება და იქცა სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტად.

უნივერსიტეტში ამ ფაქტმაა ბევრ სიახლეს დაუდო სათავე. სამცხე-ჯავახეთში საუნივერსიტეტო განათლება დღეს უკვე რეალობაა. შეიქმნა საუნივერსიტეტო ინტელიგენცია, რომლის სერიოზულ ნაწილს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმოადგენენ

3. სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვა, მისია, ღირებულებები

3.1. ხედვა:

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვაა არსებული გარემოსა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, ძალისხმევისა და რესურსების კონცენტრირებით – საქართველოს და უახლოესი მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტებთან მჭიდრო აკადემიური, სამეცნიერო კონტაქტების საფუძველზე და ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერების გზით შექმნას კონკურენტუნარიანი ახალი ცოდნა;

განავითაროს განათლების, სოფლის მეურნეობის (აგრარული, ვეტერინარული) დარგები, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებანი. უზრუნველყოს რეგიონი იურიდიული, საჯარო მმართველობის, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიების, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ეკონომიკური განათლებით შეიარაღებული კადრებით.

ასევე მოამზადის სპეციალისტები პროფესიული განათლების საფეხურზე ჯანდაცვის, ელექტროობა-ინჟინერიის მიმართულებით “.

3.2. მისია:

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მხარის უპირველესი უმაღლესი დაწესებულება – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1990 წელს დაარსებული ახალციხის ფილიალისა და 2002 წელს დაარსებული ჯავახეთის ფილიალის სამართალმემკვიდრე.

იგი აგრძელებს ისტორიული მესხეთის (ტაო-კლარჯეთის) უძველესი საგანმანათლებლო ცენტრების ეროვნულ-იდეურ მემკვიდრეობას თანამედროვე საუნივერსიტეტო ტრადიციების შექმნისა და ჩამოყალიბების საშუალებით.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი და პროფესიული განათლების თანაარსებობით, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ინდუსტრიის განვითარების ხელშეწყობით, ცოდნისა და ტექნოლოგიის ტრანსფერის მეშვეობით წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითრებაში;

უზრუნველყოს ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაფუძნებული კვლევები, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე;

დაეყრდნოს სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში, დაამკვიდროს და განავითაროს სამშვიდობო განათლების პრიციპები საუნივერსიტეტო სივრცეში. ;

აღზარდოს მაღალზნეობრივი, დემოკრატიული და ჰუმანური სულისკვეთებით გამსჭვალული თაობები, რაც განაპირობებს ენის, კულტურის, ინტელექტის განვითარების უწყვეტობასა და უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცესთან შერწყმას.

3.3. ღირებულებები:

უნივერსიტეტის ფუნქციონირების საფუძველსა და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სამი მთავარი ღირებულება:

- **თავისუფლება,**
- **ეროვნულობა,**
- **ტოლერანტობა.**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია შემუშავებულია 35-წლიანი არსებობის მანძილზე დაგროვილი გამოცდილებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საფუძველზე.

4. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგია და პრიორიტეტები

4.1. უნივერსიტეტის მიზანი, ამოცანები

-უნივერსიტეტის მიზანია, უზრუნველყოს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, მეორე მხრივ, მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები ეკონომიკის განვითარებისა და საზოგადოების განათლების უზრუნველყოფისათვის რეალური ნაბიჯების გადასადგმელად და კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებაში.

უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრას საფუძვლად დაედო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნის, ჩამოყალიბებისა და პროგრესული განვითარების გამოცდილება და ბოლო ექვსი წლის განმავლობაში ჩატარებული ანალიტიკური სამუშაოები, საქმიანობის შედეგების ანალიზი, სტუდენტებთან, პერსონალთან, ფაკულტეტებთან და უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურებთან, დამსაქმებლებთან, პარტნიორებთან გამართული შეხვედრები, კონსულტაციები და ანგარიშები, უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი პრიორიტეტების განსაზღვრა ასევე ემყარება ჩვენი ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტებს.

მათი გათვალისწინებით **უნივერსიტეტის** ამოცანებია:

- პროფესიონალი კადრების მომზადება და კვლევითი პოტენციალის გაძლიერება, სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება და განვითარება;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემაში ყველა დონეზე ჩართული ადამიანური რესურსების მოზიდვა/განვითარება, პროფესორ-მასწავლებელთა მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლება;
- განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა, სწავლა-სწავლებაში თანასწორობისა და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების (ფაკულტეტების) ავტონომიურობისა და მუდმივი ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფა;

- განათლების ინტერნაციონალიზაცია; საერთაშორისო ურთიერთობა და თანამშრომლობა უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.
- პროფესიული განათლებისა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა;
- -შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა.
- საზოგადოებრივი ჩართულობის და კავშირის გაძლიერებას ადგილობრივ მოსახლეობასთან და ორგანიზაციებთან;
- განათლების ხარისხის ამაღლებას და ცოდნის მუდმივ გავრცელებას სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის;
- ტექნოლოგიური ინოვაციების და ცოდნის გადაცემის მხარდაჭერას რეგიონში, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ ეკონომიკის განვითარებას;
- მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მხარდაჭერას და უნივერსიტეტის ჩართულობის გაზრდას გლობალურ ინიციატივებში.

წარმოდგენილი ამოცანები სრულად ითვალისწინებს უნივერსიტეტის განვითარების პერსპექტივებს მომავალი შვიდი წლის განმავლობაში.

5. სტრატეგიული ანალიზი

სტრატეგიული ანალიზი მოიცავს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციონირება-განვითარებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების, ასევე შედარებით (ანუ სხვა უნივერსიტეტების საქმიანობის) ანალიზს. შიდა ფაქტორების ანალიზი მოცავს შიდა ორგანიზაციული საქმიანობის, ხოლო გარე ფაქტორების ანალიზი კი ეკონომიკური, იურიდიული, სოციალური, დემოგრაფი ული, პოლიტიკური და საერთაშორისო ფაქტორების ანალიზს.

ძლიერი მხარეები

- **ლოკალური კავშირები:** უნივერსიტეტს მჭიდრო კავშირი აქვს ადგილობრივ მოსახლეობასთან და ორგანიზაციებთან, რაც ხელს უწყობს მესამე მისიის მიზნების შესრულებას.
- **განგრძობადი განათლება:** სჯსუ უზრუნველყოფს განგრძობადი განათლების პროგრამებს, რომლებიც აძლიერებს ცოდნის გავრცელებას და უწყვეტი
  სწავლების შესაძლებლობებს.
- **სოციალური ჩართულობა:** უნივერსიტეტი აქტიურად უწყობს ხელს სოციალური ჩართულობის პროექტებს, რაც აძლიერებს მის როლს ადგილობრივ
  საზოგადოებაში.
- **გაფართოებული პარტნიორობა:** თანამშრომლობის ძლიერი ქსელი სხვადასხვა ორგანიზაციას თან და ადგილობრივ მთავრობებთან აძლიერებს პროექტების შესრულების ეფექტურობას.
- **ტექნოლოგიებისა და ცოდნის გადაცემა:** უნივერსიტეტი ახორციელებს ინოვაციურ და ტექნოლოგიურ პროექტებს, რაც ხელს უწყობს ეკონომიკური და
  ტექნოლოგიური განვითარების პროცესებს რეგიონში.

- **სწავლა-სწავლების პროცესის საფუძვლები:** აკადემიური თავისუფლება; პერსონალის კვალიფიკაცია, აფელირება; პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების არსებობა; ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის განვითარებაზე ორიენტირება, ინოვაციების დამკვიდრებისკენ სწრაფვა და მისი ხელშეწყობა.

• **გამორჩეული ნიშა:** ორ გეოგრაფიულ პუნქტში მდებარეობა, მოსახლეობის საწიროებაზე ორიენტირება; კრიზისული წინააღმდეგობებისა და პრობლემების დაძლევის გამოცდილება;

სუსტი მხარეები

- **ფინანსური რესურსების შეზღუდულ**ობა: უნივერსიტეტს შეიძლება ჰქონდეს ფინანსური შეზღუდვები, რაც ზღუდავს პროექტების სრულ განხორციელებას ან მათი მასშტაბის გაზრდას.
- **რეგიონული შეზღუდულობა:** უნივერსიტეტის ლოკალური მოქმედების არეალი შეიძლება შეზღუდული იყოს და საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოებას საჭიროებს.
- **ინფრასტრუქტურის შეზღუდულობა:** ტექნოლოგიური და ინფრასტრუქტურული რესურსების ნაკლებობა შეიძლება ზღუდავდეს ინოვაციური და ტექნოლოგიური პროექტების სრულფასოვან განხორციელებას. ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის ხარისხი;

• **ადამიანური რესურსების დეფიციტი:** უნარების მქონე პერსონალის რაოდენობის ნაკლებობა შეიძლება გახდეს სირთულე ახალ ინიციატივებში და პროექტების მართვაში. გარკვეულ დარგებში ახალგაზრდა კადრების ნაკლებობა ;

• **ინტერნაციონალიზაციის ხარისხი:** კვლევითი პროდუქციის არასაკმარისი ინტერნაციონალიზაცია ; ინგლისურენოვანი პროგრამების სიმცირე;

შესაძლებლობები

• **ფინანსირების ზრდის შესაძლებლობები:** საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების, კერძო და საჯარო ფინანსების მოზიდვის შესაძლებლობები ზრდის მესამე მისიის პროექტების მასშტაბს.

• **გლობალური და ეროვნული სტრატეგიები:** მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) დაკავშირებული გლობალური და ეროვნული ინიციატივები უნივერსიტეტს აძლევს შესაძლებლობას, აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო პროექტებში და გამოიყენოს ახალი რესურსები.

• **სოციალური ჩართულობის ზრდა:** უნივერსიტეტს აქვს შანსი უფრო გააძლიეროს თავისი როლი ადგილობრივ და ეროვნულ საზოგადოებაში სოციალური
ჩართულობის პროექტების მეშვეობით.

- **ცოდნის კომერციალიზაცია:** კვლევების და ტექნოლოგიური ინოვაციების კომერციალიზაცია შესაძლოა გახდეს შემოსავლის წყარო და ახალი თანამშრომლობების საფუძველი.

საფრთხეები

- **ფინანსური გაურკვევლობა:** არასაკმარისი ფინანსური რესურსები ან გრანტების შეზღუდულობა შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთი პროექტის შეფერხებას ან შეჩერებას.

- **კონკურენცია სხვა უნივერსიტეტებთან:** სხვა რეგიონალური და საერთაშორისო უნივერსიტეტების კონკურენცია შესაძლოა შეამციროს სჯსუ-ს გავლენა და
- კონკურენტუნარიანობა.
- **გარე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ფაქტორებზე დამოკიდებულება:** რეგიონული პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უნივერსიტეტის მესამე მისიის შესრულებაზე და დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობებზე. დემოგრაფიული პრობლემები და, შესაბამისად, აბიტურიენტთა სიმცირე; საერთო სოციალურ-ეკონომიკური ფონი;
- **ტექნოლოგიური პროგრესის ტემპი:** უნივერსიტეტს შესაძლოა არ ჰქონდეს საკმარისი რესურსები, რომ სწრაფად ადაპტირდეს ახალი ტექნოლოგიური განვითარებებით და ინოვაციებით.

5. პრიორიტეტები

იმისათვის, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა სათანადოდ უპასუხოს არსებულ გამოწვევებს, გაზარდოს საკუთარი საქმიანობის ეფექტურობა, კვლევისა და სწავლების ხარისხი, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა კმაყოფილების დონე და, ამავდროულად, უფრო მდგრად, სანდო და კონკურენტუნარიან ინსტიტუციად იქცეს, მისი სტრატეგიული განვითარება უნდა დაეფუძნოს შემდეგ ძირითად პრიორიტეტებს:

- **ინტერნაციონალიზაცია;**
- **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლის გაძლიერებას რეგიონში**

ეს ორი პრიორიტეტი განაპირობებს სტრატეგიული მიმართულებების ჩამოყალიბებას და ქმნის უნივერსიტეტისთვის ახალ შესაძლებლობებს.

6. სტრატეგიული მიმართულებები

უნივერსიტეტის სტრატეგიული მიმართულებები გამოკვეთილია იმის გათვალისწინებით, როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძლიერი მხარეები მის განსავითარებლად. სტრატეგიული მიმართულებები, მათი მიზნები და ამოცანები სრულად შეესაბამება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას.

გამოიყოფა შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

- **კვლევა;**
- **სწავლება-სწავლა;**
- **რესურსები;**
- **მართვის სისტემა;**

- ინტერნაციონალიზაცია;
- წვლილი საზოგადოებაში (მესამე მისია)

სტრატეგიული მიმართულებება - კვლევა

დასახული სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში ახალი სტარატეგიული გეგმა მოიზრეებს იდენტიფიცირებული მიმართულებებით (ჰუმანიტარია, აგრარულ-ეკონომიკური კვლევები) ინტერდისციპლინური კვლევების გააქტიურებას. აქცენტი გაკეთდება პრაქტიკული მნიშვნელობის კვლევებზე. ***2026-32 წლების სტრატეგიული გეგმის პრიორიტეტად აღიარებულია კვლევების ინტერნაციონალიზაცია.*** *ამ მიმართულებით უნივერსიტეტი გეგმავს შესაბამისი საქმიანობების, როგორც ინტენსივობის, ასევე მასშტაბის გაზრდას. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულების ეფექტური განვითარებისათვის აუცილებელია უნივერსიტეტში უკვე შექმნილი სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სწორად წარმართვა. მხარდამჭერი საქმიანობები შესაძლებელია მოიცავდეს საინფორმაციო-სასწავლო ღონისძიებებს, კვლევასა თუ კონსულტირებას. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება ახალგაზრდა მეცნიერთა, დოქტორანტთა დახმარებაზე, რათა მათ შეძლონ საერთაშორისო სტანდარტის სამეცნიერო პროდუქციის შექმნა, საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში მონაწილეობის მზაობის გაზრდა და საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირება. არსებული ვითარების უკეთ გააზრებისა და ქმედითი სტრატეგიის შემუშავების მიზნით მნიშვნელოვანია კვლვის ხარისხის, აკადემიური პატიოსნების კულტურის დანერგვის მექანიზმების კიდევ უფრო გაძლიერება, ამ მიმართულებით ინსტიტუციური განვითარების საკითხების სიღრმისეული შესწავლა. ამისათვის უნივერსიტეტი განაგრძობს განათლების სხვადასხვა საფეხურზე კვლევითი საქმიანობის შესახებ სისტემატური მონიტორინგს, შედეგებზე რეაგირების მექანიზმების გაძლიერებას. ეს შესაძლებელს გახდის პროგრესის პერიოდულ შეფასებას და დაეხმარება როგორც უნივერსიტეტს, ასევე სხვა დაინტერესებულ პირებს კვლევის პოლიტიკის სწორი მიმართულებით წარმართვაში, საჭიროებებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავებაში. სტრატეგიული მიმართულების მისაღწევად განსაზღვრული მიზნები, ამოცანები და ღონისძიებები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილ ორივე პრიორიტეტთან -* ***ინტერნაციონალიზაცია,*** **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის როლის გაძლიერება რეგიონში.**

სტრატეგიული მიმართულებება - სწავლა-სწავლება

თანამდროვე საგანმანათლებლო სისტემამ უნდა უზრუნველყოს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს სწრაფად ცვალებად სივრცეში პიროვნულ თვითრეალიზებას. გლობალური კონკურენციის პირობებში, ციფრული ტექნოლოგიების ეპოქაში

ხარისხიანი განათლების მიღება კვლავ რჩება საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ ღირებულებად, კეთილდღეობის, სოციალური სამართლიანობის, პოლიტიკური სტაბილურობისა და ქვეყნის უსაფრთხოების გადამწყვეტ ფაქტორად. უმნიშვნელოვანეს როლს ამ მიზნების მიღწევაში თამაშობს უნივერსიტეტში სწავლა-სწავლების პროცესი, სწორედ ამიტომ გამოიკვეთა იგი ცალკე პრიორიტეტულ მიმართულებად.

ფასეულობათა ცვლილებამ, ტექნიკურმა პროგრესმა და სხვა მრავალმა ფაქტორმა უნივერსიტეტი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. სასწავლო პროცესს მთლიანობაში მრავალი მხარე აქვს და მისი ეფექტურობა ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ პასუხობს იგი დროის მოთხოვნას.

დასახული სტატეგიული მიმართულების რეალიზაციისას 2026-32 სასწავლო წლებში მთავარი აქცენტი კვლავაც გაკეთდება სტუდენტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე დაფუძნებული პროცესის ხელშეწყობაზე, ანუ უნივერსიტეტი საყრდენად ირჩევს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას. ასევე პროფესიული და უმაღლესი განათლების თანაარსებობით, მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ხელშეწყობით განათლების უწყვეტობის უზრუნველყოფას. დასახულ მიზანს დაემატება სწავლების მეთოდებში ტექნოლოგიური განვითარების ასახვა.

პროგრამების მომზადება-განახლება შინაარსობრივად დაეფუძნება სწავლა-სწავლების და კვლევის ინტეგრირებასა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებისკენ სწრაფვას, რაც ეხმიანება უნივერსიტეტის მთავარ პრიორიტეტებს.

სტრატეგიული მიმართულება - რესურსები

ადამიანური რესურსი

*დასახული სტრატეგიული მიმართულების მთავარი პრიორიტეტი ადამიანური რესურსების ხელშეწყობაა. თითოეული თანამშრომელი მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსიტეტში სწავლებისა და კვლევის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფაში. შესაბამისად, **2026-32 წლების სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრულია კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მათი შესაძლებლობების ხელშეწყობაა, განვითარებაზე ზრუნვა და გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენება.** ამ მიმართულებით პოლიტიკის შემუშავებისას უნივერსიტეტი ეფუძნება გამჭვირვალობის, თანასწორობის, სამართლიანობისა და მრავალფეროვნების პრინციპებს. ისეთ მულტიკულტურულ გარემოში, რომელშიც ფუნქციონირებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მნიშვნელოვანია, მიუხედავად ასაკის, სქესის, ეთნიკური, რელიგიური კუთვნილების, თუ სოციალური წარმომავლობისა, ყველასთვის თანაბარი პირობების შექმნა, ნათლად ჩამოყალიბებული და ფართოდ ხელმისაწვდომი კრიტერიუმებით ისეთი კადრების მოზიდვა, რომლებიც მაღალ დონეზე შეძლებენ დაკისრებული მოვალეობების შესრულებას და არსებულ კონკურენტულ გარემოში უნივერსიტეტის წარმატების უზრუნველყოფას;*

ფინანსური და მატერიალური რესურსი

***2026-32 წლებში უნივერსიტეტის მთავარ გამოწვევად რჩება ფინანსური სისტემის მდგრადობა.** უნივერსიტეტის, როგორც სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, დაფინანსების წყაროებია: სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით; საერთაშორისო გრანტით მიღებული შემოსავლები; საკონკურსო შერჩევის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ გაცემული სამეცნიერო-კვლევითი*

გრანტები, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ ერთეულებზე აბიტურიენტთა მიღების წახალისების მიზნით გამოყოფილი სპეციალური სახელმწიფო-საბიუჯეტო პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი პროგრამული დაფინანსება; უნივერსიტეტმა უნდა შეძლოს ფინანსური შემოსავლების დივერსიფიცირება, რაც ახალი წყაროების მოძიებასთან ერთად საკუთარი რესურსის ეფექტიანად გამოყენებას უნდა დაეფუძნოს.

სტარატეგიული მიმართულება მატერიალური რესურსის განვითარება, რაც გამჭოლი საჭიროებაა ყველა სტარტეგიული მიზნის, ამოცანისა თუ ქვეამოცანის შესასრულებლად, რასაც ეფუძნება ნებისმიერი შეფასება და ყოველთვის ძირითადი ინდიკატორია საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული ყველა დაინტერესებული პირისთვის, ისახავს მიზნად ტექნოლოგიების პროგრესის ადეკვატურად მატერიალური რესურსის შექმნასა და დახვეწას, ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, რომელიც ჩართულობასა და უახლესი მეთოდებით სწავლებას უზრუნველყოფს.

სტრატეგიული მიმართულება - მართვის სისტემა

2026-32 წლებში სტრატეგიული მიმართულების რეალიზაცია გულისხმობს მართვის სისტემის განვითარებას. მენეჯმენტი სისტემურად უნდა უზრუნველყოფდეს უნივერსიტეტის მიერ აღიარებული ღირებულებების - თავისუფლება, ეროვნულობა, ტოლერანტობა - დაცვას, საქმიანობის შედეგზე ორიენტირებას და სტრუქტურათა თუ პასუხისმგებელ პირთა ანგარიშვალდებულებას. ამისათვის სტრატეგიულ დონეზე შემდეგი მიზნები გამოიყოფა: სტრუქტურის მოდერნიზაცის პირობებში სტრუქტურული ერთეულების ახალი ფუნქციების შესრულების ხელშეწყობა, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობა და მართვის სისტემა, რომელიც სტუდენტზე ორიენტირებულია და მისივე ჩართულობით ხორციელდება. უნივერსიტეტმა განახორციელა ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის პროცესების მოდერნიზება, რომლის მიზანი იყო ადმინისტრაციული და მმართველობითი სამსახურების მეტი ეფექტიანობა და მაღალი ეფექტურობა ხარჯების შემცირებით.

სტრატეგიული მიმართულება - ინტერნაციონალიზაცია

განათლების ინტერნაციონალიზაცია, ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უპირობო პრიორიტეტია, შესაბამისად, იგი გამოიყოფა, როგორც ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება. ამ მიმართულებით დაგეგმილმა და განხორციელებულმა საქმიანობამ ხელი უნდა შეუწყოს კვლევისა და სწავლა-სწავლების ხარისხის განვითარებას, საერთაშორისო მობილობას, საერთაშორისო აღიარებასა და ნდობის განმტკიცებას, მიახლოებას ევროპულ სტანდარტებთან, უნივერსიტეტის ცნობადობას, საერთაშორისო პროექტებში მის მონაწილეობას, წარმოჩენასა და ჩართვას, საერთაშორისო რესურსებისა და გამოცდილების გაზიარებას, უცხოელი სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებელთა მოზიდვის

ხელშეწყობას. არანაკლებ მნიშვნელოვანია ურთიერთობების შენარჩუნება მუდმივ პარტნიორებთან საქართველოში და ამ ურთიერთობების გაფართოება. ამ სტარატეგიული მიმართულების ფარგლებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს უნივერსიტეტის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციის - სოციალური პასუხისმგებლობის სათანადოდ შესრულება.

სტრატეგიული მიმართულება - წვლილი საზოგადოებაში (მესამე მისია)

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი წამყვანი ინსტიტუტია, რომელიც აღიარებს მესამე მისიას, რაც მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ ჩართულობას. ამ სტრატეგიული გეგმის მიზანი არის სჯსუ-ს მესამე მისიის გაძლიერება, რომელიც ითვალისწინებს საზოგადოებასთან აქტიურ თანამშრომლობას, რეგიონალური განვითარების ხელშეწყობას და გრძელვადიანი პარტნიორობას.

მესამე მისიის აქტივობების კლასიფიცირება ძირითადად ხდება კვლევასთან მიმართებით (ტექნოლოგიის ტრანსფერი და ინოვაცია), სწავლებასთან მიმართებით (მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა) და საზოგადოების სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში უნივერსიტეტის ჩართულობასთან მიმართებით. აქვე აღსანიშნავია, რომ არ არსებობს უნივერსალური მიდგომა მესამე მისიის დანერგვასთან მიმართებით. თითოეული უნივერსიტეტი მესამე მისიის განსხვავებულ აქტივობებს ახორციელებს. მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის გეოგრაფიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული გარემოს და ამასთან, უნივერსიტეტის რესურსისა და შესაძლებლობის თავისებურებების გათვალისწინებით მოხდეს უნივერსიტეტის მესამე მისიის აქტივობების განსაზღვრა, დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება.

7. სტარტეგიული მიზნები, დასახული ამოცანები და მათი მიღწევის გზები

1.სტრატეგიული მიმართულება - კვლევა

სტრატეგიული მიზანი 1.1: სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში საერთაშორისო სტანდარტებისა ინტეგრირების ხელშეწყობა

ამოცანა 1.1.1: მოწვეული და აკადემიური პერსონალის კვლევის უნარების განვითარების მხარდაჭერა

- ახალგაზრდა მკვლევრებისათვის, პროფესორ-მასწავლებლებისათვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების მოწყობა ბიბლიომეტრიული ბაზებისა და მათი გამოყენების შესახებ;
- კვლევითი საქმიანობის წახალისებისათვის მექანიზმების ამოქმედება, ჯილდოებისა და სტიპენდიების მჭიდრო ურთიერთგანპირობებულობა; ფინანსური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმების გაძლიერება;

• აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებისას მისი კვლევის შედეგების ამსახველი მექანიზმების შემუშავება.

ამოცანა 1.1.2 : სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება

• სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავებაში აკადემიური პერსონალის მხარდაჭერის მდგრადი მექანიზმების ხელშეწყობა ;

• სამეცნიერო ფონდებთან თანამშრომლობის გააქტიურებისთვის საგანგებო ღონისძიებების გატარება და შესაბამისი საქმიანობის/ინიციატივების წახალისება.

• უცხოეთის პარტნიორ უნივერსიტეტებსა და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობითი კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, წახალისება;

• უცხოეთში მოღვაწე მეცნიერებთან კონტაქტების გააქტიურება და მათი რესურსის გამოყენება ინერნაციონალიზაციისათვის.

ამოცანა 1.1.3 : კვლევის პასუხისმგებლიანად წარმართვის, ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების გაძლიერება

• აკადემიური პატიოსნების ნორმების დამცავი რეგულაციების დახვეწა;

• პლაგიატის პრევენცისათვის, ინფორმირებისათვის მრავალფეროვანი ღონისძიებების უზრუნველყოფა;

სტრატეგიული მიზანი 1.2: კვლევის ჩამოყალიბებული პრიორიტეტების განვითარება

ამოცანა 1.2.1: კვლევითი საქმიანობის მდგრადობის, აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა იმ მიმართულებით, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება სამცხე-ჯავახეთის სტრატეგიულ მიზნებსა და მის ეკონომიკურ განვითარებას

• სამეცნიერო საქმიანობაში თანამშრომლობის, ინტერდისციპლინური და პრაქტიკული დანიშნულების კვლევების ხელშეწყობა რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით;

• კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურისა და სტრუქტურული ერთეულის ამოქმედება;

ამოცანა 1.2.2 : პარტნიორობა მეზობელი სახელმწიფოების სამეცნიერო -კვლევით ცენტრებთან

• ერთობლივი კვლევითი საქმიანობის გაძლიერება მეზობელი სახელმწიფოების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან;

• სამეცნიერო ღონისძიებების გამართვა მეზობელი ქვეყნების მეცნიერების მონაწილეობით.

2. სტრატეგიული მიმართულება - სწავლა /სწავლება

სტრატეგიული მიზანი 2. 1. *საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება*

ამოცანა 2.1.1: სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა

• სასწავლო პროცესში სწავლების თანამედროვე/ ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების წილის გაზრდა;

- ინდივიდულური საჭიროებების დადგენა და შესაბამისი მიდგომების გამოყენება სწავლებისას;
- სსსმ და შშმ პირებისთვის შესაბამისი რესურსის მოძიება და მათი სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

სტრატეგიული მიზანი 2.2: **ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე პარტნიორობით**

ამოცანა 2.2.1: შრომის ბაზარზე ორიენტირებული ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება **ქვეყნის პრიორიტეტებისა და რეგიონის საჭიროების გათვალისწინებით**

- განათლების მიმართულებით (როგორც რეგიონული სპეციალიზაცია) საგანმანათლებლო პროგრამის მომზადება;
- საგანმანათლებლო პროგრამებში ინტერნაციონალიზაციის ელემენტის გაძლიერება
- სტუდენტების ჩართულობის გაზრდა პროგრამების შემუშავებაში და მათი ინტერესის გათვალისწინება ინგლისურენოვანი პროგრამების/სასწავლო მომზადების კუთხით.

სტრატეგიული მიზანი 2.3 სამშვიდობო განათლების მხარდაჭერა და სამშვიდობო განათლების მიდგომების დანერგვა

ამოცანა 2.3.1: საგანმანათლებლო რესურსის შექმნა სამშვიდობო განათლების მიმართულებით

- საგანმანათლებლო პროგრამებში სამშვიდობო განათლების თემების/საკითხების/სასაწავლო კურსების ინტეგრირება
- სამშვიდობო განათლების მიმართულებით ადამიანური რესურსის მომზადება/გადამზადება

სტრატეგიული მიზანი 2.4. პროფესიული განათლების მდგრადობისა და უწყვეტი განათლების ხელშეწყობა

ამოცანა 2.4.1: სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესიული განათლების სტრუქტურული ერთეულის ამოქმედება ახალქალაქში და და მისი გამართული საქმიანობის ხელშეწყობა

- *პროფესიული განათლების მიმართულებით* სტრუქტურული ერთეულის ამოქმედება;
- პროფესიული განათლების ხელშემწყობი წესებისა და რეგულაციების დანერგვის ხელშეწყობა;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის გაძლიერება.

ამოცანა 2.3.3: მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზებასხვადასხვა სფეროში

- პროფესიულ პროგრამებში პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირება და პროგრამის ტიპის განსაზღვრა;
- პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვება;
- კავშირების გააქტიურება ბიზნესთან და დამსაქმებლებთან და პარტნიორებთან ერთად დუალური პროგრამების განვითარება.

ამოცანა 2.3.4: პროფესიული განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწობა

- საერთაშორისო პარტნიორების მოძიება პროფესიული განათლების მიმართულებით
- საერთაშორისო მობილობის მექანიზმების შემუშავება

ამოცანა 2.3.4: მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპების განხორციელება

• უწყვეტი განათლების განვითარების მიზნით მრავალფეროვანი და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამების (მოდულები, კურსები) ხელშეწყობა;

• საუნივერსიტეტო უწყვეტი განათლების პროგრამების შექმნა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

3.სტრატეგიული მიმართულება - რესურსები

სტრატეგიული მიზანი 3. 1: **ადამიანური რესურსის განვითარების ხელშეწყობა**

ამოცანა 3.1.1. პერსონალის პროფესიული განვითარებისადმი სისტემური მიდგომის უზრუნველყოფა

• უნივერსიტეტის პერსონალისა პროფესიული განვითარების მიზნით ტრენინგ-კურსების, პროგრამების და სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველყოფა;

• როგორც აკადემიური/ მოწვეული პერსონალის, მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის შეფასების მოქნილი მექანიზმის დახვეწა

• სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის ციფრული კომპეტენციების განვითარება;

• სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის უცხოური ენობრივი კომპეტენციების განვითარება.

ამოცანა 3.1.2. პროცესების გაუმჯობესება ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრაციისათვის

• ახალი კადრების მოზიდვისა და შენარჩუნების მდგრადი სისტემის შექმნა, მათ შორის ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში;

სტრატეგიული მიზანი 3.2: **მატერიალური რესურსის განვითარების ხელშეწყობა**

ამოცანა 3.2.1: საგანმანათლებლო გარემოს, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/გაუმჯობესება და თანამედროვე სტანდარტებთან მისადაგება საგანმანათლებლო პროგრამების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად

• საბიბლიოთეკო რესურსის გამრავალფეროვნება და სრულად გაციფრულება;

• სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება ხელმისაწვდომ საბიბლიოთეკო რესურსებზე;

• აუდიტორიების/ ლაბორატორიების აღჭურვა-განახლება;

ამოცანა 3.2.2. საგანმანათლებლო გარემოს, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/გაუმჯობესება სტუდენტური ცხოვრების გასააქტიურებლად

- სტუდენტთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებით მიზნით ქ. ახალციხეში საერთო საცხოვრებლის ამოქმედება;
- უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პერსონალისათვის მეტი ელექტრონული სერვისის შეთავაზება;

სტრატეგიული მიზანი 3.3: **ფინანსური რესურსის განვითარებისა ხელშეწყობა**

ამოცანა 3.3.1: ფინანსური რესურსის მოძიების მექანიზმების გააქტიურება

- დაფინანსების ახალი წყაროების, რესურსების მოძიებაზე ორიენტირებული საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის გაძლიერება
- უნივერსიტეტის რესურსის გამოყენება ფინანსების მოძიების მიზნით (საქმიანობის კომერციალიზაციისთვის მომზადება).

4. სტრატეგიული მიმართულება - მართვის სისტემა

სტრატეგიული მიზანი 4.1: **უნივერსიტეტის პრიორიტეტებსა და განვითარებაზე დაფუძნებული მმართველობითი სისტემის გაძლიერება**

ამოცანა 4.1.1: უნივერსიტეტის სტრუქტურის მოდერნიზაცია თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით

- მართვის ყველა პროცესში ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებისათვის მუშაობა;
- ადამიანური რესურსების მართვის სისტემის გაუმჯობესება;

ამოცანა 4.1.2. ფინანსების მართვის გამჭვირვალე მექანიზმების ხელშეწყობა.

- უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა. ბიუჯეტის შესაბამისობა უნივერსიტეტის დაფინანსების ახალ სისტემასთან;
- ინვესტიციების მოზიდვა ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებისთვის;
- ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვის, დაგეგმვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფა და განვითარება.

ამოცანა 4.1.3. შრომის ანაზღაურების პოლიტიკის მოდერნიზაცია

- ინდივიდუალური საპრემიო პოლიტიკის შექმნა.

სტრატეგიული მიზანი 4.2: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიანობის ამაღლება

ამოცანა 4. 2.1. სასწავლო და კვლევითი პროცესის ხარისხის ამაღლების მიზნით შეფასების მექანიზმების გაძლიერება

• კვლევის აქტივობებისა და ინტერნაციონალიზაციის შეფასების სისტემასი რეაგირების მექანიზმებზე აქცენტირება შედეგებზე რეაგირების
• მარეგულირებელი დოკუმენტების მუდმივი განახლება /სრულყოფა;
• სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე უნივერსიტეტის პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემური შეფასების მექნიზმის გაძლიერება.

ამოცანა 4. 2. 2. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა.

- შეფასების სისტემისა და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების მექანიზმის გააქტიურება;
- უცხოური უნივერსიტეტების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა, ხარისხის კონტროლის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მათი უზრუნველყოფის მეთოდოლოგიის ჩამოყალიბება.

ამოცანა 4.2.3. შეფასების გარე მექანიზმებისთვის უნივერსიტეტის მომზადების პროცესის სისტემატიზაცია .

• პროგრამულ აკრედიტაციასთან დაკავშირებული პროცესების დაგეგმვა/მართვა;
• ავტორიზაციის პროცესის დაგეგმვა/მართვა.

სტრატეგიული მიზანი 4.3: **მართვის სტუდენტზე ორიენტირებული სისტემის გაძლიერება**
ამოცანა 4.3.1. სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს გაუმჯობესება

• სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის მისადაგება დაფინანსების ახალ სისტემასთან;
• სტუდენტთა ჩართულობის ზრდა, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების, ისე სტუდენტური მომსახურების გაუმჯობესებაში;
• სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევა და ბაზების სრულყოფა;
• სტუდენტთა სერვისების დახვეწა-გააქტიურება.

ამოცანა 4.3.2. სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმების შექმნა

• სტუდენტთა სტაჟირების ხელშეწყობა;
• სტუდენტების ინიციატივების, პროექტების მხარდაჭერის გაძლიერება;
• სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა;
• სტუდენტებისათვის სახელმწიფო მხარდაჭერის მექანიზმებთან ერთად განსხვავებული საუნივერსიტეტო სტიპენდიების შეთავაზება;
• საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებში უნივერსიტეტის სტუდენტების ჩართვის ხელშეწყობა.

ამოცანა 4.3.3 : სტუდენტური ცხოვრების გამრავალფეროვნების ხელშეწყობა

• სტუდენტებისთვის კურიკულუმს გარეთ ღონისძიებების გააქტიურება;

- სტუდენტური კლუბების საქმიანობების ხელშეწყობა და წახალისება;
- სტუდენტებთან, სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფებთან, სტუდენტურ ორგანიზაციებთან ურთიერთობა, სტუდენტური პროექტებისა და ნოვატორული ინიციატივების ხელშეწყობა და კოორდინირება;
- უნივერსიტეტის სახელით სამთავრობო, კერძო და აარასამთავრობო სექტორთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

5. სტრატეგიული მიმართულება - ინტერნაციონალიზაცია

სტრატეგიული მიზანი 5.1: **საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება**

ამოცანა 5.1.1: ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განახლება -გააქტიურება

- ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხელშეწყობა კვლევით საქმიანობაში;
- უცხოური ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესება;
- სტუდენტთა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობა .

ამოცანა 5.1.2 : უნივერსიტეტის საერთაშორისო ცნობადობის ამაღლების ხელშეწყობა

- საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებების განხორციელება;
- უნივერსიტეტის ვებგვერდისა და სხვა საინფორმაციო რესურსების ეფექტიანობის გაზრდა;
- საერთაშორისო რანჟირების სისტემების კრიტერიუმებზე ორიენტირება.

5. სტრატეგიული მიმართულება - წვლილი საზოგადოებაში (მესამე მისია)

სტრატეგიული მიზანი 6.1. სოციალური ჩართულობის გაზრდა:

***ამოცანა 6.1.1 უ*ნივერსიტეტის გააქტიურება ადგილობრივი და რეგიონული საზოგადოების საჭიროებებზე,**

- კვლევებისა და პროექტების განხორციელება, რომლებიც მიმართულია სოციალურ პრობლემებზე პასუხის გაცემისკენ.
- პარტნიორობის გააქტიურება ადგილობრივ ორგანიზაციებთან და მთავრობებთან.

- სკოლის პედაგოგებთან და სკოლამდელი დაწესებულებების აღმზრდელებთან თანამშრომლობა მათი კარიერული განვითარების მხარდაჭერისთვის;
- ეროვნული უმცირესობების სკოლებთან თანამშრომლობა მულტიკულტურული განათლების პოლიტიკის ერთობლივად განსაზღვრის მიზნით, საზოგადოების ინტეგრაციის ხელშემწყობი მექანიზმების გააქტიურება;
- სამშვიდობო განათლების სატრენინგო პროგრამების შეთავაზება საზოგადოებისთვის

ამოცანა 6.1.2 **სპეციალური პროგრამების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლების შესაძლებლობებს პროფესიონალებისთვის და საზოგადოებისთვის.**

- უწყვეტი განათლების ცენტრის პროგრამების დაგეგმვა საზოგადოების ჩართულობით, რომელიც ეხმარება პროფესიონალების და
- სტუდენტების უნარების განვითარებას.

სტრატეგიული მიზანი 6.2. ეკონომიკური ინოვაციების მხარდაჭერა

ამოცანა 6.2.1 **შექმნას ინკუბატორული ცენტრები ინოვაციური იდეების და სტარტაპების მხარდასაჭერად.**

- პროფესიონალებისთვის და საზოგადოებისთვის შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური გარემოს შექმნა, შეთავაზება
- კვლევების კომერციალიზაციის ხელსეწყობა, რაცგანავიტარებს ადგილობრივ

ეკონომიკას.

ამოცანა 6.2.3 **მდგრადი განვითარების და გარემოს დაცვის მხარდაჭერა**

- გარემოსდაცვითი ინიციატივებისა და პროგრამების შექმნა/მხარდაჭერა, რომლებიც უზრუნველყოფს მდგრადობას და ეკოლოგიური ცნობიერების ზრდას.
- ეკოლოგიური განათლების პროგრამების შექმნა/შეთავაზება, რომლებიც მოსახლეობას დაეხმარება გარემოს დაცვის საკითხებში.

სტრატეგიული მიზანი 6.3. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და პოპულარიზაცია ორგანიზება

ამოცანა 6.3.1 **მრავალფეროვანი კულტურული ღონისძიებების შემუშავება/განხორციელება**

- კულტურული ღონისძიებები, რომლებიც გამოავლენენ დაპოპულარიზაციას გაუწვდიან ადგილობრივ კულტურას და ტრადიციებს.
- საქველმოქმედო და მოხალისეობრივი საქმიანობის დაგეგმვა/განხორციელება და მხარდაჭერა;
- ქართული ისტორიისა და კულტურის გაცნობა-პოპულარიზაციის ღონისძიებების ორგანიზება;
- ტოლერანტობისა და სხვა დემოკრატიული ღირებულების დამკვიდრების მიზნით ღონისძიებების გააქტიურება.

ამოცანა 6.3.2 **უნივერსიტეტის ფარგლებში კვლევების ჩატარება, რომლებიც ასახავს რეგიონის კულტურულ მემკვიდრეობას.**

- საგანმანათლებლო პროგრამების სამეცნიერო კომპონენეტის ორიენტირება თემატურად რეგიონის კულტურულმემკვიდრეობაზე
- რეგიონში მოქმედ ტურისტულ დ სხვა ორგანიზაციისთვის რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის კვლევების მონაცემების გაზიარება

სტრატეგიული მიზანი 6.4 *: უნივერსიტეტის მუდმივ პარტნიორებთან კომუნიკაციის გაძლიერება და ახალი პარტნიორების მოძიება*

ამოცანა 6.4.1. დამსაქმებლებთან ურთიერთობის პოლიტიკის შემუშავება

- დამსაქმებელთა ქსელის გაფართოების ხელშეწყობა;
- დამსაქმებლების ჩართვა ახალი საგანმანთლებლო პროგრამების დაგეგმვასა და არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-დახვეწაში;
- დამსაქმებელთა გააქტიურება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში და პრაქტიკული შინაარსის მასტერ-კლასების ორგანიზება .